ფიზიკური პირი
ნოდარ ბრიშაშვილი
პ/ნ 1000109900

მისამართი: ბოლნისის რაიონი სოფ. კაზრეთი. კორპუსი №126/1.
ბინა №88. mob: 595456778. mail: g.gabadze86@gmail.com


---

№20/08-14 14 აგვისტო 2020წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხატია წილოსანს

განცხადება
დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადების
განმეორების შესახებ

თქვენი ა/წ 12 აგვისტოს №7732/01 წერილით მითითებული საკითხების დაზუსტებებს თანმიმდევრობით გადმოგცემთ.

1. სასმელ სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება მოხდება მოტანილი წყლის კოშკურა რეზერვუარში მიღებით;
2. აგს-ის კატასტროფული რისკის მოგვარების საკითხები (მეხამრიდი, ელექტროდაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა- გათვალისწინებულია პროექტში უსაფრთხოების წესების შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. აქ ხარვეზების შემთხვევაში საწარმო ექსპლუატაციაში არ იქნება მიღებული;
3. საპროექტო ტერიტორიიდან საცხოვრებელ სახლამდე ერთ კილომეტრზე მეტია, ამიტომ იყო მითითებული 50 მეტრიანი რადიუსი;

4 და 5. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს იყო სარწყავი არხი. ის ამჟამად არ ფუნქციონირებს, მაგრამ მას არავითარი კავშირი არა აქვს საწამოს ნიაღვრულ წყლებთან, რომელიც წარმოიქმნება ტერიტორიის სხვა მხარეს, სადაც გასამართი სვეტის სიახლოვეს გადის ავტომაგისტრალი და იქ გამავალი ღია არხია აგს-ის ნავთობდამჭერი ჭიდან გასუფთავებული წყლის და საერთოდ ყველა უბნიდან (გეოგრაფიული თვალსაზრისით) ნიაღვრული წყლების მიმღები;

6. საპროექტო ტერიტორიაზე მარკეტის მშენებლობის და დამხმარე სათავსოების

№ 12931
"14" 08 2020
2/6 ფ.
+ 03 +

მოწყობის  დროს ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არა აქვს;

7. რეზერვუარების საწვავის სახეობების მიხედვით ჩამონათვალში დაშვებული მექანიკური შეცდომა გასწორებულია.

სკრინინგ განცხადების შესწორებული  ფორმატი ამ განცხადებას თან ერთვის დანართი 1.
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მოცემულია დანართ 2-ში.
საწარმოს სიტუაციური გეგმა გაფრქვევის წყაროებით მოცემულია დანართ 3-ში.

პატივისცემით,

საწარმოს მესაკუთრე------------------ნ. ღრიშაშვილი

14 აგვისტოს №20/08-14 განცხადებაზე დანართები:

დანართი 1.

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება

მე ფიზიკურ პირ ნოდარ გრიშაშვილს (პ/ნ 10001009900), მცხოვრებს ბოლნისის რაიონის სოფ. კაზრეთში, კორპუსი №126/1-ის ბინა№ 88-ში, პირად საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 80.14.62.380) განზრახული მაქვს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა.

სკრინინგ განცხადებას წარმოგიდგენთ განმეორებით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაბა კაზრეთში ბოლნისი-კაზრეთის გზაზე, მიწის ნაკვეთის ფართი 846.0 კვადრატული მეტრია, არასასოფლო დანიშნულების. უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორება საპროექტო ტერიტორიიდან 50.0 მეტრზე მეტია.
აგს დაგეგმილია ხუთი თანაბარი მოცულობის (16.0მ$^3$) მიწისქვეშა სარეზერვუარო პარკისაგან (მათ შორის 3 ბენზინისა და 2 დიზელის საწვავისათვის, საერთო მოცულობით 80.0მ$^3$), მიმღებ-გასაცემი მილმდენების, ორი გასამართი სვეტისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სექციისაგან. რეზერვუარების სამუშაო მოცულობა გათვალისწინებულია მოცულობის 85%-მდე და შეესაბამება 68.0 მ$^3$ ჯამური მოცულობით. საწარმოში წლიურად დაგეგმილია 1.0 მილიონი ლიტრი ბენზინის და 0,8 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაცია.
პროექტის მიხედვით აგს აღჭურვილი იქნება:

- რეზერვუარებში მიმღები და რეზერვუარებიდან გასამართ სვეტებში მიმწოდებელი მილმდენებით;
- რეზერვუარები აღჭურვილი იქნება სარქველებიანი სასუნთქი მილებით;
- ავტოგასამართის სამუშაო რეჟიმი მთელი წლის განმავლობაში სადღეღამისოა. ამისათვის დაგეგმილია საოპერატორო, საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული და სხვადასხვა დამხმარე სათავსოები;
- ავტოგასამართი მოედანი გადახურული იქნება. საწვავის ავზებში მიმღები და გასაცემი მილმდენების და გასამართი სვეტების სისტემა სტანდარტების შესაბამისია და მოცემულია შესაბამის უწყებასთან შეთანხმებულ პროექტში;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენა „ჰუმუსი"-ანი ფენა ძალიან მცირეა და გათვალისწინებულია მისი გადატანა მშენებლობისაგან თავისუფალ გამწვანებისათვის დაგეგმილ ფართობზე. გრუნტის თიხის დასაწყობება ნიშნავს სარეზერვუარო მიწისქვეშა პარკისათვის ამოღებული თიხის დაინტერესებული უწყებისათვის გადაცემას. მაგალითად-სამშენებლო ინერტული მასალების ამოღებით წარმოქმნილი ღრმულების რესტავრაციის დანიშნულებით;
- საწარმოს მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო მოედანი არ წარმოიქმნება. ფუნქციონირების დროს ნავთობდამჭერიდან ამოღებული შლამი და ნავთობპროდუქტი დაგროვდება შემკრებ ჭაში და დადგენილი წესით ჩაბარდება დაინტერესებულ უწყებას. ასევე გაფორმდება ხელშეკრულება საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე. სხვა სახეობის

ნარჩენები არ წარმოიქმნება. საპროექტო ტერიტორიაზე მარკეტის მშენებლობის და დამხმარე სათავსოების მოწყობის დროს ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არა აქვს;

- წყალსადენ-კანალიზაცის ცენტრალიზებული ქსელი რეგიონში არ არსებობს. პროექტში გათვალისწინებულია:
----სასმელ სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება მოხდება მოტანილი წყლის კოშკურა რეზერვუარში მიღებით;
---საპირფარეშო მოეწყობა ამოსაღებ ორმოზე (მშენებლობის დამთავრების შემდეგ სათანადო უწყებასთან ხელშეკრულების გაფორმებით);
--- საწვავის გასაცემ გადახურულ მოედანზე ავარიულად დაღვრილი საწვავს ან მოედნის ნარეცხ წყლებს მიიღებს ნავთობპროდუქტების დამჭერი ჭა. მისი მექანიკური გაწმენდის შემდეგ წყალი გადავა ობიექტიდან 15-18.0 მეტრით დაშორებული გზის გასწვრივ ნიაღვრული წყლების გამტარ არხში. საწარმოს სავალი და სხვა ტერიტორიებიდან ნიაღვრული წყლები ჩვეულებრივად, ბუნებრივი წესით შთაინთქმება მიმდებარე ტარიტორიაზე;
- აგს-ის კატასტროფული რისკის მოგვარების საკითხები (მეხამრიდი, ელექტროდაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა- გათვალისწინებულია პროექტში უსაფრთხოების წესების შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად;
- საწარმო უზრუნველყოფილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო დახმარების პირველადი ინვენტარით და ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზით;

აგს-ზე არ იქნება მაღალი ხმაურის წყარო. საქმიანობა არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ მის სიახლოვეს არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და დაცული ტერიტორიები. აგს-ის სიახლოვეს სხვა მსგავსი ტიპის საწარმოსთან დაშორების გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, ნაჯერი და უჯერი. ასევე არომატული, მათ შორის: ბენზოლი, ქსილოლი, ტოლუოლი და ეთილბენზოლი. მაქსიმალური გაფრქვევები ფიქსირდება საწვავის მიღებისა და გაცემის დროს.

საწარმოს საქმიანობისას ბენზინ-დიზელის საწვავის ორთქლის ჯამური გაფრქვევები ობიექტისათვის იქნება -1.402 ტონა წელიწადში.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ნივთიერებათა მახასიათებლების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

| № | მავნე ნივთიერებათა დასახელება (ფორმულა) | კოდი | ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ), მგ/მ³ | | საშიშროების კლასი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მაქსიმალური ერთჯერადი | საშუალო სადღეღამისო | |
| 0 | 1 | | 2 | 3 | 4 |
| 1 | ნაჯერი ნახშირწყალბადები, $C_1$- $C_5$ | 415 | - | - | 4 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | ნაჯერი ნახშირწყალბადები, $C_6$- $C_{10}$ | 416 | - | - | 4 |
| 3 | უჯერი ნახშირწყალბადები (პენტილენები), ამილენების (იზომერების ნარევი) მიხედვით, $C_5H_{10}$ | 501 | 1.500 | - | 4 |
| 4 | ბენზოლი, $C_6H_6$ | 602 | 1.500 | 0.050 | 2 |
| 5 | ქსილოლი, $C_8H_{10}$ | 616 | 0.200 | - | 3 |
| 6 | ტოლუოლი, $C_7H_8$ | 621 | 0.600 | - | 3 |
| 7 | ეთილბენზოლი, $C_8H_{10}$ | 627 | 0.020 | - | 3 |
| 8 | გოგირდწყალბადი, $H_2S$ | 333 | 0.008 | - | 2 |
| 9 | ნაჯერი ნახშირწყალბადები, $C_{12}$- $C_{19}$ | 2754 | 1.000 | - | 4 |

ასეთი სიმძლავრის აგს-ებიდან შეუფერხებელი ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა. გაფრქვევები ლოკალიზებულია აგს-ის ტერიტორიაზე და ფაქტობრივად არ სცილდება გამოყოფა-გაფრქვევის ტერიტორიის 50.0 მეტრიან რადიუსს. უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორება ერთ კილომეტრზე მეტია.

პატივისცემით,

საწარმოს მესაკუთრე-----------------ნ. გრიშაშვილი

დანართი 2.

*||||||||||||||||||||||||||||||||||||||||*

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 80.14.62.380**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

**განცხადების რეგისტრაცია**
**N 882019435951 - 03/06/2019 17:27:00**

**მომზადების თარიღი**
**27/06/2019 14:40:01**

---

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ბოლნისი | კაზრეთი | | |
| **80** | **14** | **62** | **380** |

**მისამართი: მუნიციპალიტეტი ბოლნისი , დაბა კაზრეთი**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:**საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 846.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**80.14.04.100;**

---

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882019435951** , თარიღი **03/06/2019 17:27:00**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **27/06/2019**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საგადასახადო სიის N100
- გადაწყვეტილება N223903 , დამოწმების თარიღი:26/06/2019 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სამკვიდრო მოწმობა N170346817 , დამოწმების თარიღი:04/04/2017 ,ნოტარიუსი ხ. ბაღაშვილი
- წერილი ადგილმდებარეობის დადასტურების შესახებ N11/2613 , დამოწმების თარიღი:29/03/2019 , ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია

მესაკუთრეები:
ნოდარ გრიშაშვილი ,P/N: 10001009900

მესაკუთრე:
ნოდარ გრიშაშვილი

აღწერა:

---

## იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

---

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სახით ჩუქებით მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის შესაბამისად."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 3.

დანართი 3.

## საწარმოს სიტუაციური გეგმა გაფრქვევის წყაროებით
დაბა კაზრეთი

